

- 3.10 ფესტივალში ნებადართულია ფეხბურთელების მუდმივი ცვლა;
- 3.11 მატჩების დაწყების დროს განსაზღვრავს თფფ.

#### 4. გუნდების განაცხადების გაფორმება

- 4.1 გუნდების განაცხადები თფფ-ში უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2017 წლის 20 მაისისა.
- 4.2 თითოეული გუნდის განაცხადი დგება ერთ ეგზელფარად და მასში უნდა იყოს მინიმუმ 12, მაქსიმუმ 15 ფეხბურთელი.
- 4.3 რეგიონებიდან ჩამოსულ გუნდებს განაცხადზე უნდა ჰქონდეთ რეგიონალური ფედერაციის ბეჭედი.
- 4.4 განაცხადთან ერთად გუნდებმა უნდა წარმოადგინონ საგამანათლებლო სკოლის ცნობა, ასაკის ჩვენებით დამტკიცებული დირექტორის ბეჭდით.
- 4.5 გუნდის განაცხადი დამოწმებული უნდა იყოს შესაბამისი რეგიონის ჯამთელობის დაცვის სამსახურის ხელმძღვანელის ბეჭდით

#### 5. ჩემპიონატის ჩატარების სისტემა

- 5.1 ტურნირი ჩატარდება ჯერ ჯგუფურ, ხოლო ფინალურ ეტაპზე ოლიმპიური სისტემით.

#### 6. მსაჯობა

- 6.1 თფფ-ს მიერ ჩატარებულ საფეხბურთო ფესტივალს მოემსახურებიან თფფ-ს სამსაჯო განყოფილების მიერ დანიშნული მსაჯები და მათი მომსახურების ხარჯებს ანაზღაურებს თფფ;
- 6.2 მსაჯი ვალდებულია, შეჯიბრების ტექნიკურ ოქმში აღნიშნოს მოთამაშეთა გაფრთხილებისა და მინდვრიდან გაძევების შემთხვევები დროის ჩვენებით და დანაშაულის ზუსტი განსაზღვრით;
- 6.3 მსაჯი ვალდებულია თამაშის დამთავრებისთანავე თფფ-ს აცნობოს თამაშის შედეგი;
- 6.4 მსაჯი ვალდებულია გუნდის თამაშზე დაგვიანება ან გაგამოუცხადებლობა გააფორმოს თამაშის ოქმში, რომლის შესახებაც უნდა აცნობოს თფფ-ს.
- 6.5 2008 ჭაბუკთა ტურნირზე ნებადართულია მეკარის ხელით თამაში, თავისი პარტნიორის მიერ მოწოდებულ ბურთზე.
- 6.6 ფეხბურთელის შეცვლა ნებადართულია მოედნის ცენტრიდან, როდესაც ბურთი თამაშში არ არის.

#### 7. საჩივრის შეტანის წესი

- 7.1 გუნდის წარმომადგენელი ვალდებულია საჩივრის შემთხვევაში გააფრთხილოს მატჩის დამთავრებისთანავე მოწინააღმდეგე გუნდის ხელმძღვანელობა და მთავარი მსაჯი.